საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/323617 „28" 09 2017 წ

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს

ასლი: სს „სილქნეტს"
ა(ა)იპ „საკაბელო ტელევიზიების კავშირს"
შპს „დაკას"
შპს „ოკრიბა-ტვ+"-ს
შპს „ელის'
შპს „კტვ1"-ს
შპს „ნიუკომს"
შპს „გეოტელემედიას"
შპს „სამეცნიერო ტექნიკურ ასოციაცია ინტეროპტიკას"
სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგს"
შპს „სუპერ ტვ"-ს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) შემოსულია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წერილი (N№-6/6628-17; 05.09.2017) მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების ერთობლივ საჩივართან (N01/735; 24.08.2017) ერთად, რომელიც ეხება ტრანზიტული მაუწყებლობის მიმწოდებელ პირებთან სავალდებულო ტრანზიტის ხელშეკრულების ერთიანი ინტეგრირებული ტარიფით გაფორმების გზით კონკურენციის სავარაუდო დარღვევას.

კომისიამ შეისწავლა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს წერილი და თანდართული საჩივარი მისთვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გაცნობებთ შემდეგს:

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია *(იხ.„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი).* მაუწყებლობის სფეროში კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში *(იხ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი).*

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: **post@gncc.ge; www.gncc.ge**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^1 მუხლი განსაზღვრავს მაუწყებელთა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირთა შორის ურთიერთობებს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^1 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მაუწყებელი თავისი სიგნალის ტრანზიტისათვის მაუწყებლის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან ანაზღაურების გადახდას ითხოვს, ასეთ მაუწყებელსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს შორის იდება ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულება. ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულება განათავსოს თავის ვებგვერდზე და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცეს ასეთი ხელშეკრულების ასლი ნებისმიერ პირს, ხოლო მე-8 პუნქტის თანახმად, ფასიანი ტრანზიტის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მაუწყებელი და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად წარმართონ მოლაპარაკებები ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულების დასადებად. კეთილსინდისიერების მოთხოვნა არ ჩაითვლება შესრულებულად, თუ რომელიმე მხარე: ა) დაუსაბუთებელ უარს აცხადებს ფასიანი ტრანზიტის შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე; ბ) აშკარად აჭიანურებს ფასიანი ტრანზიტის შესახებ მოლაპარაკებებს; გ) ტრანზიტისთვის ითხოვს შეუსაბამოდ მაღალ ან დაბალ საფასურს იმ საფასურთან შედარებით, რომელსაც იგივე მაუწყებელი სხვა ავტორიზებული პირებისგან ითხოვს. შეუსაბამობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ტრანზიტის საფასურსა და სხვა მაუწყებლების მიერ მოთხოვნილ საფასურს შორის განსხვავება 10%-ს აღემატება; დ) ითხოვს ფასიანი ტრანზიტის სხვა ისეთ პირობებს, რომლებიც მეორე მხარეს სამაუწყებლო ან ფასიანი ტრანზიტის ბაზრის სხვა სუბიექტებთან შედარებით აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს; ე) მოითხოვს მეორე მხარისგან, არ დადოს გარიგება სამაუწყებლო ან ფასიანი ტრანზიტის ბაზრის სხვა სუბიექტებთან; ვ) დაუსაბუთებელ უარს აცხადებს ფასიანი ტრანზიტის პირობების შესახებ მეორე მხარის წინადადებების განხილვაზე; ზ) მესამე პირთან დებს ისეთ გარიგებას, რომლის ერთ-ერთი პირობაა ამ მხარის ვალდებულება, არ დადოს ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულება სხვა პირთან.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ მაუწყებელს, სათემო მაუწყებელს, ამ კანონის შესაბამისად ავტორიზებულ საერთო საეთერო ან/და თანამგზავრულ მაუწყებელს, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში, აგრეთვე ავტორიზებულ საერთო საეთერო მაუწყებელს, რომლის მაუწყებლობა საეთერო მაუწყებლობის განხორციელების შედეგად ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-ისათვის, უფლება აქვთ თავისი სიგნალის ტრანზიტისთვის მაუწყებლის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან მოითხოვონ ანაზღაურების გადახდა, რის თაობაზე მაუწყებელსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს შორის იდება ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულება. ფასიანი ტრანზიტის შემთხვევაში, მაუწყებელი და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად წარმართონ მოლაპარაკებები ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულების დასადებად, მათ შორის, ტრანზიტის საფასურის განსაზღვრისას, რა დროსაც, ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის აბონენტთა რაოდენობა.

მაუწყებლობის სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ემსახურება მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა. პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად თითო მომსახურების ზონაში ფლობდეს არაუმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო არხს და 1 საერთო საეთერო რადიოარხს. ამასთანავე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის

ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია თავის ქსელში გაატაროს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული არაუმეტეს 5 ტელემაუწყებლისა. *(იხ. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).*

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში 2015 წლის 12 ივნისს ცვლილებების შეტანამდე საერთო საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის რაოდენობის მფლობელობაზე დაწესებული შეზღუდვა უკავშირდებოდა მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვას, რომელიც გამოწვეული იყო სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობის არსებობით და მიზნად ისახავდა სიხშირული რესურსის შეზღუდული რაოდენობით არსებობის პირობებში ერთი პირის მფლობელობაში ამოწურვადი სიხშირული რესურსის შეუზღუდავად თავმოყრის თავიდან აცილებას და აქედან გამომდინარე, მედია პლურალიზმისა და სამაუწყებლო ბაზრის განვითარების წახალისებას.

2015 წლის 17 ივნისიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად შესაძლებელი გახდა ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმების აგება და დღეის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს შპს ,,სტერეო+"-ის სამი და შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენტრის" ციფრული მულტიპლექსპლატფორმები, თბილისის მასშტაბით - თბილისის მულტიპლექსპლატფორმა, ასევე, ფუნქიონირებს 20 რეგიონალური მულტიპლექსი.

2015 წლის 12 ივნისს, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილების შედეგად, აღნიშნული კანონის მე-60 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია თავის ქსელში გაატაროს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული არაუმეტეს 5 ტელემაუწყებლისა. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (12.06.2015; N3691-IIს) პროექტზე საქართველოს პარლამენტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო მაუწყებლობის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვის რეგულაციის ახლებურად დამუშავება, რათა კანონმდებლობაში ადეკვატურად ასახულიყო ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერით გავრცელებასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, ადგილი არ აქვს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 40[1] და მე-60 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

ამასთან ავღნიშნავთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ზედამხედველობისას, არ ითვალისწინებს მაუწყებლობის სფეროში კონკურენციის რეგულირების სხვა სამართლებრივ მექანიზმებს.

პატივისცემით,

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე